საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 5 18 00121375

07/08/2018

ა/ო "FactCheck"-ის რეგიონულ ანალიტიკოს
ნინო ჩიბჩიურს
ელ-ფოსტა: ninochibchiuri@gmail.com
ტელეფონის ნომერი: 598 55 85 02

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2018 წლის 30 ივლისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2008 წლის პირველი სექტემბრიდან 2018 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქის უკანონო დაკავების 1864 ფაქტი დაფიქსირდა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 1180. მათ შორის, ე.წ. საზღვრის კვეთისთვის ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ განხორციელდა 60 პირის ერთზე მეტჯერ უკანონოდ დაკავება, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით აღნიშნული რიცხვი 53-ს შეადგენს.

ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები უკანონო დაკავებებს ახორციელებენ საოკუპაციო ხაზის თითქმის მთელ პერიმეტრზე.

ასევე მოგახსენებთ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებული ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით უკანონოდ დაკავებულ პირთა რაოდენობა ჯამური ციფრის დაახლოებით 10-15% შეადგენს, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ცდომილება დაახლოებით 5-10%-ია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (საერთო ფართობი შეადგენს 8 700 კვ. კილომეტრს) და ცხინვალის რეგიონი (საერთო ფართობი შეადგენს 3 800 კვ. კილომეტრს). საოკუპაციო ღობეები, მავთულხლართები და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები განთავსებულია ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების სხვადასხვა ლოკაციაზე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი **ნინო გიორგობიანი**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური /
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი /დეპარტამენტის
დირექტორი/
ნინო გიორგობიანი

ნინო გიორგობიანი